**Title:** School Uniform Handbook
**Status:** Mandatory
**Approved:** Principal
**Responsible for the implementation:** Deputy Principal
**Review Process:** Annually
**Date of Last Review:** N4-01/22/08-25 /22 August, 2025

British–Georgian Academy

## 2025-2026 ACADEMIC YEAR




# სასკოლო ფორმები

# სკოლის ფორმის პოლიტიკის დოკუმენტი

*ბრიტანულ-ქართულ აკადემიაში სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებისა და სასკოლო საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისათვის მნიშვნელოვანი როლი სკოლის ფორმას ენიჭება.*

*ბრიტანულ-ქართული აკადემიის მოსწავლეები პასუხსმგებელნი არიან ყოველთვის დადებითად  წარმოაჩინონ სკოლის ვიზუალური სახე. აკადემიის ფორმის ვიზუალი და დიზაინი შექმნილია მულტიკულტურული ნორმების სრული გათვალისწინებით.*

*ბრიტანულ-ქართული აკადემიის მოსწავლეებს მოეთხოვებათ ეცვათ სკოლის ფორმა ყოველთვის, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა, რომლის შესახებაც სკოლის ადმინისტრაცია აუცილებლად წინასწარ, წერილობით შეგატყობინებთ.*

მოსწავლეები, რომლებიც სკოლაში გამოცხადდებიან შეუსაბამო ტანისამოსით, მიიღებენ როგორც სიტყვიერ, ასევე წერილობით გაფრთხილებას. განმეორებითი დარღვევის შემთხვევაში, მოსწავლე არ დაიშვება გაკვეთილებზე, სანამ მშობელი/მეურვე მოსწავლეს შესაფერის ფორმას არ მიაწვდის.

## გოგონები

- გრძელტოტიანი კლასიკური შარვალი ან შესაფერისი სიგრძის შორტი* - მუქი ლურჯი
- პოლო მაისური ან პერანგი ბრიტანულ-ქართული აკადემიის ლოგოთი-თეთრი
- ჟაკეტი/სვიტერი/ჟილეტი/ჰუდი ბრიტანულ-ქართული აკადემიის ლოგოთი-მუქი ლურჯი
- მუქი ლურჯი/ნეიტრალური ფერის კოლგოტი
- სასკოლო კაბა ბრიტანულ-ქართული აკადემიის ლოგოთი შესაფერისი სიგრძის -მუქი ლურჯი
- ქვედაბოლო შესაფერისი სიგრძის– მუქი ლურჯი

## ბიჭები

- გრძელტოტიანი კლასიკური შარვალი ან შესაფერისი სიგრძის შორტი* - მუქი ლურჯი
- პოლო მაისური ან პერანგი ბრიტანულ-ქართული აკაედემიის ლოგოთი-თეთრი
- ჟაკეტი/სვიტერი/ჟილეტი/ჰუდი ბრიტანულ-ქართული აკადემიის ლოგოთი-მუქი ლურჯი

# British Georgian Academy
## All Years Daywear

TRUTEX — EST. 1865 — MADE TO LAST SCHOOLWEAR

AKOA — ALL ABOUT SPORT

John Hall — ENGLAND





**White Short & Long Sleeve Polo Shirt's**
Badge to left chest



**Navy/White Pulse T-Shirt**
Badge to left chest



**Navy Pulse Shorts**



**Navy Pulse Skort**




**Navy/White Pulse Hoody**
Badge to left chest and back



**Navy Pulse Trackpants**

All designs, text, graphics, information relating to garments, product specifications and size charts are Copyright to Trutex 2024

ბრიტანულ-ქართული აკადემიის სასკოლო და სპორტული ფორმის (სურვილის შემთხვევაში მხოლოდ ლოგოს) შეძენა შესაძლებელია სპორტ კაფეში.

სკოლის მოლოდინია, რომ მოსწავლეები ყოველთვის იქნებიან შესაბამისად ჩაცმულები, მოსწავლეთათვის შესაფერისი ვარცხნილობითა და მინიმალური სამკაულით. ამ სტანდარტების შემუშავების საფუძველი, უპირველეს ყოვლისა, მოსწავლეთა უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობაზე ზრუნვაა.

გაითვალისწინეთ - ახალი სპორტული უნიფორმებით, მოსწავლეებს შესაძლებლობა ექნებათ, სპორტის გაკვეთილის დღეს, მთელი დღის განმავლობაში ატარონ სპორტული ფორმა, რომელიც სკოლის უნიფორმად ჩაეთვლება.

!

# ბიჭები

ყველა მოსწავლე ვალდებულია მოვიდეს სკოლაში თეთრი პოლო მაისურით ან თეთრი პერანგით  ბრიტანულ-ქართული აკადემიის ლოგოთი. თუ მოსწავლე ატარებს პერანგს, ყველა ღილი (გარდა ბოლოსა) ყოველთვის უნდა იყოს შეკრული. არ დაიშვება ჯინსის მაისური, ზოლიანი მაისური, მაისური მოხატულობით ან განსხვავებული ლოგოთი.



თუ მოსწავლეები გადაწყვეტენ სვიტერის, ჰუდის, ჟაკეტის, პიჯაკის ჩაცმას, აუცილებლად უნდა იყოს მუქი ლურჯი ფერის, სასკოლო ლოგოთი და არა რაიმე სხვა ბრენდის ან განსხვავებული ლოგოთი.



შარვალი აუცილებლად უნდა იყოს მუქი ლურჯი კლასიკური სტილის. სპორტული სტილის და ჯინსის შარვლები არ არის სასკოლო ფორმის ნაწილი.



თუ მოსწავლე გადაწყვეტს ჩაიცვას შორტები, ის აუცილებლად უნდა იყოს კლასიკური სტილის, მუქი ლურჯი და შესაფერისი სიგრძის. დაუშვებელია სპორტული სტილის შორტები.



# გოგონები:

ყველა მოსწავლე ვალდებულია მოვიდეს სკოლაში თეთრი პოლო მაისურით ან თეთრი პერანგით  ბრიტანულ-ქართული აკადემიის ლოგოთი. თუ მოსწავლე ატარებს პერანგს, ყველა ღილი (გარდა ბოლოსა) ყოველთვის უნდა იყოს შეკრული. არ დაიშვება ჯინსის მაისური, ზოლიანი მაისური, მაისური მოხატულობით ან განსხვავებული ლოგოთი.



თუ მოსწავლეები გადაწყვეტენ სვიტერის, ჰუდის, ჟაკეტის, პიჯაკის ჩაცმას, აუცილებლად უნდა იყოს მუქი ლურჯი ფერის, სასკოლო ლოგოთი და არა რაიმე სხვა ბრენდის ან განსხვავებული ლოგოთი.



თუ მოსწავლე გადაწყვეტს ჩაიცვას ქვედაბოლო/ შორტები, ის აუცილებლად უნდა იყოს კლასიკური სტილის, მუქი ლურჯი და შესაფერისი სიგრძის. დაუშვებელია სპორტული სტილის ქვედაბოლო/ შორტები.



მოსწავლეს ასევე შეუძლია ჩაიცვას მუქი შესაფერისი სიგრძის ლურჯი ქვედაკაბა ან შორტი. შესაფერის სიგრძედ განისაზღვრება ერთი მტკაველი მუხლს ზემოთ.

www.bga.ge

BRITISH-GEORGIAN ACADEMY
Leo Kvachadze 17 (LISI LAKE AREA)
(995 32) 2 251 253; 2 294 295